

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.02.2020 წლის #027/20¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ირაკლი ლაზარაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორი, არსებულ საქმეში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით. მომჩივანის განმარტებით მასსა და ადვოკატს შორის გაფორმდა მომსახურების გაწევის ხელშეკრულება. ადვოკატი უნდა დახმარებოდა კლიენტს მემკვიდრეობის მიღებაში. ადვოკატმა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ჰონორარი მოითხოვა. აღნიშნული თანხის გადახდევინება შეთანხმებისამებრ განხორციელდა წარმომადგენლის მეშვეობით. მომჩივანი საქართველოში არ იმყოფებოდა, ადვოკატთან ურთიერთობდა მისი წარმომადგენელი. ამ დროის განმავლობაში ადვოკატი ეუბნებოდა, რომ ელოდებოდა საბუთებს და ჰპირდებოდა, რომ საქმეს მალე დაასრულებდა. განმცხადებლის მხრიდან კი ყველა საბუთი ქონდა ადვოკატს გადაცემული. ადვოკატმა წარმომადგენელს განუცხადა, რომ საქმეს ვერ ასრულებდა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით საჩივრის ავტორს სურს საჩივრით მომსახურების თანხის ნაწილის დაბრუნება. ადვოკატი აღნიშნულ სარჩელს არ ეთანხმება. ადვოკატის განმარტებით, მხარეები ხელშეკრულების გაფორმებამდე შეთანხმდნენ, რომ წარმომადგენელი მას წარუდგენდა მამკვიდრებლის ხაზთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას, რაც მან ნამდვილად შეასრულა. ადვოკატის განმარტებით, საქმის დაწყების მომენტში მემკვიდრეთა წრე იყო ფართე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდებოდა ნათესაური კავშირი ორ შტოს შორის, ნოტარიუსმა და მოსამართლემ უარი განაცხადეს უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. მან ეს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. მას შემდეგ, რაც წარმომადგენელმა კვლავ მოიძია გარკვეული ინფორმაცია, ადვოკატმა გააგრძელა მუშაობა. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატმა დეტალურად განუმარტა წარმომადგენელს მუშაობის პროცესი და შედეგი. კლიენტისაგან პასუხი მიიღო, რომ ის კიდევ მოიძიებდა ინფორმაციას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მან ეს ვერ შეძლო და მუქარით მოითხოვა სრული თანხის ანაზღაურება. ადვოკატის განმარტებით, მას განმცხადებლისთვის საქმის გაგრძელებაზე უარი არ უთქვამს და მზადაა დაასრულოს მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაწყებული საქმე იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მისცემს საქმის დასრულების საშუალებას.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა დისციპლინირების მოთხოვნით მიმართა ეთიკის კომისიას. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შეატყო, რომ ადვოკატი საქმეს ვერ აგვარებდა, თავად მივიდა არქივში და დაიწყო საბუთების მოძიება. შემდეგ მან თავის მიერ მოძიებული საბუთები გადასცა ადვოკატს. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით დაადასტურა ადვოკატმა ჰონორარის აღებისა და სატელეფონო კომუნიკაციის ფაქტი კლიენტთან.

სამართლებრივი შეფასება

შესაფასებელია, ადვოკატმა დაარღვია თუ არა კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის პრინციპი. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განხორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“ მუხლი 8.5). კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი

სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია.

დასკვნა

წარმოდგენილი საქმის მასალების გათვალისწინებით ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტისათვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. ადვოკატმა საქმის წარმოება დაასრულა, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი.